

**შპს „ანთა დეველოპმენტი 248381709“**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შინაარსი

|                                                  |   |
|--------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....         | 2 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....               | 3 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... | 4 |

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                   | 5  |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა ..... | 5  |
| 3. ფული და ფულის ექვივალენტები.....                                          | 8  |
| 4. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები .....                            | 8  |
| 5. ძირითადი საშუალებები.....                                                 | 9  |
| 6. კაპიტალი .....                                                            | 10 |
| 7. სესხები .....                                                             | 10 |
| 8. საერთო მოგება.....                                                        | 10 |
| 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                   | 10 |
| 10. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ.....                                | 10 |

შპს ანტა დეველოპმენტი 248381709

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                | 31.12.2022           | 31.12.2021           |
|------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                                |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                   |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                           | 17 522 586.00        | 18 217 974.00        |
| არამატერიალური აქტივები                        |                      |                      |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრ.    | 1 436 412.00         | 675 400.00           |
| სხვა გრძ. აქტივები                             | -----                | 264 775.00           |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                      |                      |                      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                    | 11 901.00            | 45 858.00            |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები        | 152 081.00           | 141 279.00           |
| მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები       | 11 885 346.00        | 12 237 924.00        |
| გადახდილი ავანსები და სესხებად გაცემული        |                      |                      |
| ფულ.სახსრები                                   | 5 218 513.00         | 269 538.00           |
| სხვა მიმდინარე აქტივები                        | 635 128.00           | 635 128.00           |
| <b>სულ აქტივები</b>                            | <b>36 861 967.00</b> | <b>32 487 876.00</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                       |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                             | 12 360 735.00        | 12 360 735.00        |
| გაუნაწილებელი მოგება/ (ზარალი)                 | 14 322 906.00        | 13 787 403.00        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                   | <b>26 683 641.00</b> | <b>26 148 138.00</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                           |                      |                      |
| სესხები                                        | 8 348 000.00         | 2 259 690.00         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები     | 287 305.00           | 2 207 049.00         |
| საგადასახადო ვალდებულებები                     | 35 001.00            |                      |
| სხვა ვალდებულებები (ზინის მყიდველებისაგან      |                      |                      |
| მიღებული თანხები ავანსად წინარე ხელშეკრულებით) | 1 508 020.00         | 1 872 999.00         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                       | <b>10 178 326.00</b> | <b>6 339 738.00</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>           | <b>36 861 967.00</b> | <b>32 487 876.00</b> |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ  
2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ხვიჩა პაპუნძიძე



მთავარი ბუღალტერი

ვირუხ ჯუმუშაძე

შპს ანთა დეველოპმენტი 248381709

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                                                                  | 2022                  |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|
| ამონაგები                                                                                        | 5 109 430.00          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                        | (3 197 969.00)        |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                             | <b>1 911 461.00</b>   |
| სხვა შემოსავლები                                                                                 | 241 446.00            |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                            | 164 697.00            |
| იჯარის ხარჯი                                                                                     | (17 159.00)           |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                 | (521 183.00)          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                                                                | (734 431.00)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                             | (508 912.00)          |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                                    | <b>(1 375 542.00)</b> |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:<br>წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან: | (416.00)              |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)</b>                                                        | <b>535 503.00</b>     |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ  
2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ხვიჩა პაპუნძე



მთავარი ბუღალტერი

ფირუზ ჯუმუშაძე

შპს ანტა დეველოპმენტი 248381709

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ (ზარალი) | სულ<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|-----------------------------------|-----------------|
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს  | 12 360 735.00         | 13 787 403.00                     | 26 148 138.00   |
| კაპიტალის ზრდა/ შემცირება     | --                    | -                                 |                 |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | ---                   | 535 503.00                        | 535 503.00      |
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს  | 12 360 735.00         | 14 322 906.00                     | 26 683 641.00   |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ  
2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ხვიჩა პაპუნძე



მთავარი ბუღალტერი

ფიროზ ჯუმუშაძე

**შპს ანთა დეველოპმენტი 248381709**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

## **1 ზოგადი ინფორმაცია**

შპს ანთა დეველოპმენტი (ს.ნ. 248381709) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2004 წლის 15 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #20

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

კომპანიის 100 % წილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკუთვნის რეზო გორგოშაძეს 61006018278

2022 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 15

## **2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები**

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### **სააღრიცხვო პოლიტიკა**

#### **უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები**

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან .

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                                       | აშშ დოლარი | ევრო   |
|---------------------------------------|------------|--------|
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს | 2.7020     | 2.8844 |
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3.0976     | 3.5040 |

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 2-20 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

## ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

## მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განკუთვნილი მასალებისაგან.

## ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

## საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

## მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

**საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

**შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ გაუფორმა ხელშეკრულება მყიდველს საცხოვრებელი ბინის შესყიდვაზე და მოხდა მისი რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრში, მიუხედავად იმისა რომ საცხოვრებელი ბინა წარმოადგენს ჯერ კიდევ მშენებარე ობიექტს და ჯერ კიდევ შესასრულებელი სამუშაოები შეთანხმებულია ხელშეკრულებაში. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საანგარიშო წლის ბოლოს ობიექტზე გაწეული ხარჯის პროპორციულად.

**3 ფული და ფულის ეკვივალენტები**

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

|                                 | 31.12.2022       | 01.01.2022       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| ნაღდი ფული-სალაროში             | 0.00             | 0.00             |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 10805.00         | 38195.00         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 1096.00          | 7663.00          |
| <b>სულ</b>                      | <b>11 901.00</b> | <b>45 858.00</b> |

**4 მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

|                                   | 31.12.2022           | 01.01.2022           |
|-----------------------------------|----------------------|----------------------|
| საქონელი                          | 5 153 714.00         | 5 153 714.00         |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 6 689 510.00         | 6 894 491.00         |
| ნედლეული და მარაგები              | 42 122.00            | 189 719.00           |
| <b>სულ</b>                        | <b>11 885 346.00</b> | <b>12 237 924.00</b> |

შპს ანთა დეველოპმენტ 248381709

სავეცილოური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
(ქართულ ლარში)

5 ძირითადი საშუალებები

| ძირითადი საშუალებები     | მიწის ნაკვეთები | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა<br>იზმენტარი | შენობები     | რემონტი   | რემონტი 97   | სულ           |
|--------------------------|-----------------|------------------------|-----------------------|----------------------------|--------------|-----------|--------------|---------------|
| 01.01.22                 | 11 705 003.00   | 79 542.00              | 1 055.00              | 43 287.00                  | 4 989 794.00 | 16 962.00 | 2 533 262.00 | 19 368 905.00 |
| შეძენა 2022              | 1 072 000.00    |                        |                       |                            | 1 205 932.00 |           | 223 941.00   |               |
| გასვლა 2022              |                 | 16 301.00              |                       |                            | 3 356 180.00 |           |              |               |
| 31.12.22                 | 12 777 003.00   | 63 241.00              | 1 055.00              | 43 287.00                  | 2 839 546.00 | 16 962.00 | 2 757 203.00 | 18 498 297.00 |
| გვეთა                    |                 |                        |                       |                            |              |           |              |               |
| დაგროვილი გვეთა 01.01.22 |                 | 46 924.00              | 1055.00               | 14 539.00                  | 862 637.00   | 16 962.00 | 208 815.00   | 1 150 932.00  |
| გასული გვეთა 2022        |                 | 3 130.00               |                       |                            | 681 003.00   |           |              |               |
| გვეთა 2022               |                 | 11 085.00              |                       | 4 107.00                   | 240 393.00   |           | 253 326.00   |               |
| დაგროვილი გვეთა 31.12.22 |                 | 54 879.00              | 1055.00               | 18 646.00                  | 422 027.00   | 16 962.00 | 462 141.00   | 975 710.00    |
| საბალანსო ღირებულება     |                 |                        |                       |                            |              |           |              |               |
| 01.01.22                 | 11 705 003.00   | 32 618.00              | 0.00                  | 28 748.00                  | 4 127 157.00 | 0.00      | 2 324 447.00 | 18 217 973.00 |
| 31.12.22                 | 12 777 003.00   | 8 362.00               | 0.00                  | 24 641.00                  | 2 417 519.00 | 0.00      | 2 295 062.00 | 17 522 587.00 |

**შპს ანთა დეველოპმენტი 248381709**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

**6 კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 12 360 735.00 ლარს  
 2022 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ ყოფილა .

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ შეადგინა 535 503.00 ლარი

**7 სესხები**

|                        | 2022                | 2021                |
|------------------------|---------------------|---------------------|
| მოკლევადიანი სესხები   | 8 348 000.00        | 2 259 690.00        |
| გადასახდელი პროცენტები | 0.00                | 0.00                |
| <b>სულ</b>             | <b>8 348 000.00</b> | <b>2 259 690.00</b> |

**8 საერთო მოგება**

|                                                | 2022                |
|------------------------------------------------|---------------------|
| შემოსავალი ბიზნესის გაყიდვიდან საბოლოო         | 4 158 059.00        |
| შემოსავალი ბიზნესის წინარე რეალიზაციიდან -სხვა | 4 642.00            |
| იჯარიდან და სხვა მომსახურებიდან                | 946 729.00          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                  | 164 697.00          |
| საპროცენტო შემოსავლები                         | 241 446.00          |
| <b>სულ შემოსავალი</b>                          | <b>5 515 573.00</b> |

**რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ( 3 197 969.00)**

**9 საერთო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები**

|                                       | 2022                   |
|---------------------------------------|------------------------|
| სესხის პროცენტის ხარჯები              | 521 183.00             |
| ქონების გადასახადი                    | 58 785.00              |
| მიწის გადასახადი                      | 41 073.00              |
| ბანკის მომსახურება                    | 973.00                 |
| იჯარის ხარჯი                          | 17 159.00              |
| საკურსო სხვაობა                       | 416.00                 |
| ცვეთა და ამორტიზაცია                  | 508 912.00             |
| კომუნალური ხარჯი--შუქი,წყალი,ბუნ.აირი | 190 472.00             |
| დაცვის ხარჯი                          | 8 453.00               |
| სხვა საერთო ხარჯი                     | 434 675.00             |
| <b>სულ</b>                            | <b>(1 782 101.00 )</b> |

**10 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ**

მნიშვნელოვანი მოვლენა საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა.